ავტობიოგრაფია

მე, გიორგი გელაშვილი, დავიბადე 1981 წლის 16 ოქტომბერს, ქალაქ ხაშურში.

1999 წელს დავამთავრე ხაშურის N მე-4 საშუალო სკოლა.

2004 წელს დავამთავრე შპს „ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი“ და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2005 წელს 01 დეკემბერს დავიწყე მუშაობა ხაშურის რაიონულ სასამართლოში კანცელარიის სპეციალისტის პოზიციაზე.

2005 წლის 16 ივლისს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2005 წლის 30 დეკემბერს ჩავაბარე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა.

2006 წლის 20 მაისს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2007 წლის 15 სექტემბერს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

2007 წლის 23 ივლისიდან 2009 წლის 23 მარტამდე ვმუშაობდი ხაშურის რაიონულ სასამართლოს კანცელარიაში წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე.

2009 წლის 23 მარტიდან 2020 წლის 01 სექტემბრამდე ვმუშაობდი ამავე სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. ამ პერიოდის მანძილზე სისტემატურად ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ სემინარებს.

2018 წლის 28 ივლისს, განმეორებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 05 ივნისის განკარგულებით ჩავირიცხე სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, მსმენელად.

2021 წლის 15 მარტს ჩავაბარე სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი გამოცდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N 1/105 განკარგულებით დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა, საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომის და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლედ, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

2022 წელს 17 სექტემბერს სწავლა განვაგრძე შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამაზე.

2024 წლის 21 მაისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებული ვარ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული ვარ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრად.

მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ასევე არჩეული ვარ მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად.

მყავს მეუღლე და ორი შვილი

გიორგი გელაშვილი
10.08 2026 წელი